ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9725293001
თარიღი:20/10/2025

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი N-14 სხდომის

ოქმი

დ. ლენტეხი. 16/ ოქტომბერი/2025წ

მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს დღის 12 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 15(თხუთმეტი) წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე და მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს აპარატის უფროსი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების 9 (ცხრა) თვის ანგარიში.**

   /მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

2. **,,საჯარო სკოლებისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N-194 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების , მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტის განხილვა.**

   / მომხს: საკრებულოს სოც საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანი/

3. **საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს (შემდგომში/სამინისტრო) და ლენტეხის მუნიციპალიტეტს შორის 2025 წლის 2-ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ.**

   /მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

დაადგინეს; დამტკიცდეს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ხანქსელიანმა სხდომის წევრებს გააცნო ბიუჯეტის შესრულების 9(ცხრა) თვის ანგარიში. მან ვრცლად ილაპარაკა შემოსავლებზე და ხარჯებზე.**

   კითხვა დასვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ: რით აიხსნება სოციალური დახმარების მუხლში თანხის დეფიციტი?

   მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ მუხლში სულ იყო გათვალისწინებული 300000 ლარი. ფაქტიურად კვარტალურად უნდა დახარჯულიყო 75000ლარი, მაგრამ ბენეფიციარების სიმრავლიდან გამომდინარე ეს თანხა თითქმის მთლიანად არის დახარჯული.

   დავით პირველი - ძირითადად რა მიმართულებით იგრძნობა თანხის მეტი ხარჯვა.

   მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თანხის ძირითადი ნაწილი იხარჯება ოპერაციებზე.

   გიორგი გაზდელიანი: არიან ბენეფიციარები, რომელთაც დღესაც არ აქვთ თანხა დარიცხული და რა თქმა უნდა გაძოხატავენ უკმაყოფილებას. რით აიხსნება ეს პრობლემა.

   მომხსენებელმა განმარტა, რომ ეს პრობლემა აიხსნება შესაბამის მუხლში თანხის დეფიციტით. წლის ბოლოსთვის ვცდილობთ, რომ ბიუჯეტის რომელ მუხლშიც იქნება აუთვისებელი თანხა, გადავიტანოთ სოციალური დახმარების მუხლში და ამ პერიოდში ხდება ყველა განცხადების დაკმაყოფილება.

   სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საფინანსო სამსახურის ანგარიშის დადებითად შეფასება.

   ჩატარდა ღია კენჭისყრა

   ღია კენჭისყრის შედეგით:

   მომხრე - 15

   წინააღმდეგი -0

   გადაწყვიტეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის 9(ცხრა) თვის ანგარიში - ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ შეფასდეს დადებითად.

2. **მოისმინეს:** საკრებულოს სოც საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ონიანმა სხდომის წევრებს გააცნო **,,საჯარო სკოლებისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N-194 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების , მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტი.**

პროექტთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

სხდომის წევრებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ბრძანების პროექტი.

3. მოისმინეს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ სხდომის წევრებს გააცნო საკითხი **საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს (შემდგომში/ სამინისტრო) და ლენტეხის მუნიციპალიტეტს შორის 2025 წლის 2-ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ. მომხსენებელმა განმარტა, რომ ხელშეკრულების შესაბამისად, ხდება ლენტეხის მუნიციპალიტეტისათვის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღწურვის) განხორციელების უფლებამოსილების დელეგირება. აღნიშნული უფლებამოსილების დელეგირებასტან დაკავშირებით , ლენტეხის მუნიციპალიტეტს გამოეყო მიზნობრივი ტრანსფერი.**

ამდენად მიზანშეწონილია დამტკიცდეს საქართველოს რეგიონალური განვითარების სამინისტროს და ლენტეხის მუნიციპალიტეტს შორის 2025 წლის 2 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულება.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ხელშეკრულების დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა.

მომხრე - 15

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს (შემდგომში/სამინისტრო) და ლენტეხის მუნიციპალიტეტს შორის 2025 წლის 2-ოქტომბერს დადებული ხელშეკრულება.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა დამთავრდა 13 საათზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი